

სახელმწიფო დაფინანსების გავლენა პოლიტიკური პარტიების ფინანსურ  
თანასწორობაზე საქართველოში

გივი ჩიხლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მენაბდე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

*როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

გივი ჩიხლაძე, 1.06.2022

## აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანი იყო, შეესწავლა საქართველოში პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების გავლენა მათ ფინანსურ თანასწორობაზე. ამ მიზნით გაანალიზდა ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში ყველა პარტიის მიერ მიღებული შემოსავალი, აგრეთვე ამავე პერიოდში მოქმედი პარტიების დაფინანსების საკანონმდებლო ჩარჩო და კანონის აღსრულების სპეციფიკა. ფინანსური უთანასწორობის გასაზომად გამოყენებულ იქნა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი.

კვლევამ აჩვენა, რომ თითქმის ყოველ წელს პარტიების შემოსავლები არსებითად უთანასწოროდ იყო გადანაწილებული. უთანასწორობის მთავარი მიზეზი მმართველი პარტიების მიერ მიღებული არაპროპორციულად მაღალი კერძო შემოწირულებები იყო, რომელთა ნაწილიც აჩენდა ეჭვს, რომ ისინი მიღებული იყო კანონის გვერდის ავლით და quid pro quo კორუფციის შედეგად. ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობის არ არსებობა კი ასეთ შემთხვევებს რეაგირების გარეშე ტოვებდა, რითიც მმართველი პარტიების ფინანსური უპირატესობის დეფაქტო დაკანონება ხდებოდა.

სახელმწიფო დაფინანსების პარტიებს შორის განაწილების წესი შესწავლილ პერიოდში იცვლებოდა და ხარვეზებიც გააჩნდა. მიუხედავად ამისა, მან უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში უთანასწორობის შემცირების ფუნქცია გარკვეულ წილად შეასრულა. სახელმწიფო დაფინანსების გარეშე მმართველ და დანარჩენ პარტიებს შორის არსებული ფინანსური უთანასწორობა მნიშვნელოვნად უფრო ღრმა იქნებოდა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *პოლიტიკური პარტიების შემოსავლები, პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსება, პოლიტიკური პარტიების ფინანსური თანასწორობა.*

## Abstract

The goal of the thesis was to study the influence of public funding of political parties in Georgia on their financial equality. For this purpose, the income received by all parties in Georgia during the last ten years as well as the legal framework of the financing of parties and the specifics of law enforcement were analyzed. The Herfindahl-Hirschman index was used to measure financial inequality.

The study showed that almost every year the income of the parties were substantially unequally distributed. The main reason for the disparity was the disproportionately high private donations received by the ruling parties, some of which raised suspicions that they were obtained through circumvention of the law and quid pro quo corruption. The absence of effective state supervision left such cases unaddressed, thereby de facto legalizing the financial superiority of the ruling parties.

The method of allocation of public funding between parties has changed during the studied period and had some flaws. Nevertheless, to a certain extent, it has fulfilled the function of reducing inequality in the last ten years. Without public funding, the financial disparity between the ruling and other parties would be significantly larger.

Keywords: *Political party income; Public funding of political parties; Financial equality of political parties.*